



საქმე №1აგ/790-16

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

9 აგვისტო, 2016 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე: მარინა ხოლოაშვილი
მოსამართლეები: სპარტაკ პავლიაშვილი
გიორგი გოგინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ **პ. მ-ის** შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

აღწერილობით - სამოტივაციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 აპრილის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და **პ. მ-ის** შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, კერძოდ: **პ. მ.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) თვის ვადით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, **პ. მ-ის** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით, 6 (თვე) განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 6 (თვე) საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 01 (ერთი) წელი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის



საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ დაენიშნა ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 3 (სამი) წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, საეჭიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

2016 წლის 29 ივლისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მსჯავრდებულმა **პ. მ.** რომელმაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო - საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილების თანახმად, განაჩენის გადასინჯვა ითხოვა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ, ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობა, შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებით, (საქმე „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 01 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის, პირადი მოხმარების მიზნებისათვის შეძენის და შენახვის გამო.

სააპელაციო პალატა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სსკ-ის 273-ე მუხლთან მიმართებაში ვერ



იმსჯელებს, რადგანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი მკვეთრად განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში განაჩენის გადასინჯვის წესს და ადგენს, რომ განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი. მოცემულ შემთხვევაში კი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, **პ. მ-ის**, საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი - სსკ-ის 273 -ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში - არაკონსტიტუციურად არ უცვნიან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ **პ. მ-ის** შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და იგი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-313-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ **პ. მ-ის** შუამდგომლობა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, დაუშვებლად იქნეს ცნობილი;

განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, მისი გამოტანიდან ორი კვირის ვადაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე:

მარინა ხოლოაშვილი

მოსამართლეები:

სპარტაკ პავლიაშვილი

გიორგი გოგინაშვილი